

# თქვენ გსურთ თავშესაფრის მაძიებლობის განცხადების შეტანა

რეგისტრაციის, დასვენებისა და მომზადების პერიოდი

## რატომ მიიღეთ ეს საინფორმაციო ფურცელი?

თქვენ გაემგზავრეთ ნიდერლანდებში, რომ მოითხოვოთ დაცვა (თავშესაფარი), რადგან თავს დაუცველად გრძნობთ საკუთარ ქვეყანაში. თავშესაფრის მაძიებლობისას ბევრი რამ არის გასათვალისწინებელი. ამ საინფორმაციო ფურცელში განმარტებულია, თუ რას უნდა ელოდოთ თავშესაფრის პროცედურის პირველივე დღეების განმავლობაში. საემიგრაციო და ნატურალიზაციის სამსახური (IND) ამას განაცხადის ეტაპს უწოდებს.

## რომელ ორგანიზაციებს შეხვდებით განაცხადის შეტანის ეტაპზე?

განაცხადის შეტანის ეტაპზე, თქვენ შეხვდებით და გაესაუბრებით ადამიანებს სხვადასხვა ორგანიზაციებიდან. მათი ნაწილი ჰოლანდიის მთავრობას ეკუთვნის, ზოგიერთი კი - არა. ქვემოთ მოცემულია სხვადასხვა ორგანიზაციის ლოგოები, მოკლე განმარტებით მათი საქმიანობის შესახებ.



თქვენ ხართ 18 წლამდე ასაკის და არ გყავთ მშობლები და სხვა ადამიანები, რომლებიც ოფიციალურად ზრუნავენ თქვენზე ნიდერლანდებში. ამის მიუხედავად, ჰოლანდიის კანონის თანახმად, ვინმემ უნდა იზრუნოს თქვენზე ოფიციალურად, რასაც მეურვეობა ეწოდება. ორგანიზაციას, რომელიც ნიდერლანდებში ამ საქმეს ეწევა, ეწოდება **Stichting Nidos**. Nidos მიმართავს თქვენზე მეურვეობის შესახებ და თავის ერთ-ერთ თანამშრომელს ნიშნავს თქვენს მეურვედ. მეურვე დაგეხმარებათ თავშესაფრის მაძიებლობის მთელი პროცედურის განმავლობაში. მაგალითად, ისინი დაგეხმარებიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში. მეურვე, ასევე, უზრუნველყოფს, რომ თქვენ გქონდეთ უსაფრთხო საცხოვრებელი ადგილი და შეძლოთ სკოლაში სიარული. Nidos არ ახდენს გავლენას თქვენი თავშესაფრის მაძიებლობის შესახებ გადაწყვეტილებაზე. [www.nidos.nl](http://www.nidos.nl)



**Vreemdelingenpolitie (AVIM)** არის-ის ფილიალი ჰოლანდიის პოლიციას უცხო ქვეყნის მოქალაქეების მონიტორინგი ევალებოდა ნიდერლანდებში. ისინი სისტემაში არეგისტრირებენ თქვენს მონაცემებს და აგროვებენ დოკუმენტებს შესამოწმებლად.



**Koninklijke Marechaussee (KMar)** იცავს ნიდერლანდების საზღვრებს. მათ, ასევე, შეუძლიათ თქვენი მონაცემების სისტემაში რეგისტრაცია. ისინი, ასევე, განიხილავენ დოკუმენტების ნამდვილობას (მაგ., პასპორტებს).



**Centraal Orgaan opvang asielzoekers (COA)** პასუხისმგებელია თავშესაფრის მაძიებელთა მიღებაზე ნიდერლანდებში და მის ხელმძღვანელობაზე. COA პასუხისმგებელია თქვენს ყოველდღიურ მეთვალყურეობაზე და უზრუნველყოფს, რომ თქვენ გქონდეთ საცხოვრებელი ადგილი. ისინი, ასევე, გამარაგებენ საკვებითა და უზრუნველყოფენ ჯანმრთელობის დაზღვევით. თუ ექიმთან მისვლა გსურთ, მაშინ დახმარება შეგიძლიათ სთხოვოთ COA-ს. COA გავლენას არ ახდენს თქვენი თავშესაფრის მოთხოვნის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე. [www.coa.nl](http://www.coa.nl)



Immigratie- en Naturalisatiedienst  
Ministerie van Justitie en Veiligheid

### **Immigratie- en Naturalisatiedienst (IND)** არის

ჰოლანდიის იუსტიციისა და უსაფრთხოების სამინისტროს ნაწილი. IND-ის თანამშრომლები გაარკვევენ, გაქვთ თუ არა თავშესაფრის მიღების უფლება ნიდერლანდებში. ამ მიზნით, ისინი გვითხავენ, თუ ვინ ხართ და რატომ შეიტანეთ ნიდერლანდებში თავშესაფრის მამიებლობაზე განაცხადი. ისინი შეისწავლიან თქვენს პირად საქმეს და იმ ქვეყანაში არსებულ ვითარებას, საიდანაც ჩამოხვედით და გადაწყვეტენ, გაქვთ თუ არა ნიდერლანდებში დროებით ან სამუდამოდ დარჩენის უფლება. [www.ind.nl](http://www.ind.nl)



### **VluchtelingenWerk Nederland (VWN)** არის ადამიანის

უფლებათა დამოუკიდებელი ორგანიზაცია, რომელიც თავშესაფრის მამიებელთა ინტერესების დაცვას ეხმარება. VWN გთავაზობთ ინფორმაციას და განმარტებებს თავშესაფრის პროცედურის შესახებ. VWN პირადად მოგაწვდით ინფორმაციას და დაგეხმარებათ მთელი პროცედურის განმავლობაში და გიშუამდგომლებთ სხვა ორგანიზაციებთან პრობლემების შემთხვევაში. ამ საკითხზე, ისინი მჭიდროდ თანამშრომლობენ თქვენს ადვოკატთან. VWN არ იღებს გადაწყვეტილებას თქვენი თავშესაფრის მამიებლობის განაცხადთან დაკავშირებით. [www.vluchtelingenwerk.nl](http://www.vluchtelingenwerk.nl) [www.forrefugees.nl](http://www.forrefugees.nl)



### არსებობს უსაფრთხოების სამსახური წარმოდგენილი IND-ის

შენობებსა და COA-ს მიმღებ ცენტრებში. მათი ამოცნობა შეგიძლიათ მათი უნიფორმებით. უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები აქ არიან თქვენი უსაფრთხოებისთვის. ისინი ინახავენ თქვენს ბარგს. თქვენ შეგიძლიათ ჰკითხოთ თუ რა არის და რა არ არის ნებადართული შენობებში და მის ტერიტორიაზე. დაცვის თანამშრომლებს არ აქვთ გავლენა თქვენი თავშესაფრის მამიებლობაზე განაცხადის შესახებ გადაწყვეტილებაზე და არ აქვთ წვდომა თქვენს პირად საქმეზე.



### **GezondheidsZorg Asielzoekers (GZA)** არის ორგანიზაცია,

სადაც მიდიხართ, თუ ავად ხართ ან გაქვთ სამედიცინო ხასიათის შეკითხვები. GZA-ს ჯანმრთელობის ცენტრი არსებობს ყველა COA-ს მიმღებ ლოკაციასთან ან მის მიმდებარედ. GZA-ს თქვენთვის შეუძლია უზრუნველყოს შეხვედრის დანიშვნა ექიმის თანაშემწესთან, ექთანთან, GGZ-ის პრაქტიკის დამხმარე მუშაკთან ან საერთო პროფილის ექიმთან. [www.gzasielzoekers.nl](http://www.gzasielzoekers.nl)



### თქვენ დანიშნული გაქვთ **MediFirst**-ის მედდასთან შეხვედრა

მიმღებ ცენტრში. ექთანი მოგთხოვთ გაიაროთ სამედიცინო შემოწმება. შემოწმების მიზანია დადგინდეს გაქვთ თუ არა ფსიქოლოგიური ან ფიზიკური პრობლემები, რაც შეიძლება გავლენას ახდენდეს თქვენს გასაუბრებაზე IND-სთან.

## რა ხდება განაცხადის გაკეთების ეტაპზე?

განაცხადის გაკეთების ეტაპს, ჩვეულებრივ, სამი დღე სჭირდება. ზოგიერთ შემთხვევაში, მას შესაძლებელია დასჭირდეს ცოტა მეტი დრო მაგალითად დატვირთულ პერიოდებში. ქვემოთ მოცემულია დამატებითი ინფორმაცია განაცხადის გაკეთების ეტაპის შესახებ. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ნაბიჯები შეიძლება ყოველთვის არ იყოს ერთი და იგივე თანმიმდევრობის. თქვენ ყოველთვის იწყებთ Ter Apel-ში რეგისტრაციით. დანარჩენი ნაბიჯების დასრულება შესაძლებელია სხვაგან.

|             |                                             |
|-------------|---------------------------------------------|
| 1-ლი ნაბიჯი | Ter Apel-ში სააპლიკაციო ცენტრში გამოცხადება |
| მე-2 ნაბიჯი | განაცხადის ფორმის შევსება                   |
| მე-3 ნაბიჯი | იდენტიფიკაცია და რეგისტრაცია                |
| მე-4 ნაბიჯი | ინტერვიუ Nidos-სთან                         |
| მე-5 ნაბიჯი | მისაღები ადგილისკენ                         |
| მე-6 ნაბიჯი | სამედიცინო შემოწმება                        |
| მე-7 ნაბიჯი | განაცხადის გასაკეთებელი ინტერვიუ            |

### 1-ლი ნაბიჯი: Ter Apel-ში სააპლიკაციო ცენტრში გამოცხადება

თქვენ მიემგზავრებით Ter Apel-ის სააპლიკაციო ცენტრში. ეს არის შენობა, სადაც თავშესაფრის მაძიებლობის ყველა პროცედურა იწყება. თქვენი ჩამოსვლის შემდეგ:

- დაცვის თანამშრომელი ჩაინიშნავს თქვენს სახელს, აიღებს თქვენს ბარგს,
- და წაგიყვანთ მოსადგელში. თქვენ გთხოვენ აქ მოცდას, სანამ IND-ის თანამშრომელი არ მოვა თქვენს გამოსამახებლად.

### მე-2 ნაბიჯი: თავდაპირველი რეგისტრაცია და განაცხადის ფორმის შევსება

IND-ის თანამშრომლები გთხოვენ:

- თქვენ პირად ინფორმაციას და ფოტოს გადაღებას, რომელიც კომპიუტერულ სისტემაში შეინახება
- შეავსოთ დოკუმენტი ან ციფრული კითხვარი, სახელწოდებით განაცხადის ფორმა, რომელსაც IND იყენებს თქვენს შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაციის შესაგროვებლად. მაგალითად, ის შეიცავს შეკითხვებს, თქვენი საცხოვრებლის, თქვენი ოჯახისა და თქვენი მოგზაურობის შესახებ. თქვენ, ასევე, მოკლედ უნდა უპასუხოთ კითხვას, თუ რატომ ითხოვთ თავშესაფარს. IND იყენებს ამ ინფორმაციას იმის დასადგენად, თუ როგორ გაგრძელდება თქვენი თავშესაფრის მაძიებლობის პროცედურა. მნიშვნელოვანია, რომ თქვენ გულწრფელად უპასუხოთ.

### მე-3 ნაბიჯი: იდენტიფიკაცია და რეგისტრაცია

ნიდერლანდების მთავრობამ უნდა იცოდეს ვინ ხართ, რომ განიხილოთ თქვენი თავშესაფრის მაძიებლობის განაცხადი. ამ მიზნით, ჯერ იდენტიფიკაცია და რეგისტრაცია სრულდება:

- იდენტიფიკაცია ნიშნავს თქვენი ვინაობის დადგენას. ეს ხდება დოკუმენტებით და თქვენი წარმოშობის შესახებ კითხვების დასმით.
- რეგისტრაცია ნიშნავს თქვენი მონაცემების შენახვას ეროვნულ სისტემაში. ეს დეტალები საჭიროა თქვენი თავშესაფრის მაძიებლობაზე განაცხადის განსახილველად.

იდენტიფიკაციაზე და რეგისტრაციაზე ორი ორგანიზაციაა პასუხისმგებელი: AVIM და KMar. რეგისტრაცია ხდება თარჯიმნის დახმარებით (ტელეფონით). რეგისტრაციის პროცესის შესახებ შეგიძლიათ წაიკითხოთ ქვემოთ. AVIM-ის ან Kmar-ის თანამშრომელი:

- გკითხავთ თქვენს სახელს, საცხოვრებელ ადგილს და მოგზაურობის შესახებ. ეს თქვენი ვინაობის დასადგენად არის საჭირო, ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ გულახდილად უპასუხოთ.
- გთხოვთ, რომ ხელი მოაწეროთ თავშესაფრის მამიებლობაზე განაცხადს. ისინი ამას მხოლოდ მაშინ გკითხავენ, თუ თქვენ ხართ 12 წლის ან მეტის. ეს დოკუმენტი ოფიციალური დასტურია იმისა, რომ თქვენ ნიდერლანდებში თავშესაფარი მოითხოვთ.
- გადაიღებს თქვენი სახის ფოტოს, აგიღებთ თითის ანაბეჭდებს და მოგთხოვთ ხელმოწერას. ეს საჭიროა უცხოელის პირადობის მოწმობის შესაქმნელად (VI), რომელსაც თქვენ აჩვენებთ, რომ შეტანილი გაქვთ განცხადება ნიდერლანდებში თავშესაფრის მოთხოვნით.
- აიღებს თქვენს დოკუმენტებს, მაგალითად, პასპორტს. თქვენს პირად დოკუმენტებს გააგზავნის განსახილველად. თუ ისინი ნამდვილია, მაშინ თქვენ უკან გადმოგიცემთ თავშესაფრის მამიებლობის პროცედურის ბოლოს.
- შესამოწმებლად, აიღებს თქვენს ტელეფონს. თქვენი ტელეფონი შემოწმდება იმ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომელიც მნიშვნელოვანია თავშესაფრის მამიებლობაზე თქვენი განაცხადისათვის. შემოწმების შემდეგ, ტელეფონი დაგიბრუნდებათ უკან. ამას შესაძლოა რამდენიმე დღე დასჭირდეს.
- შეამოწმებს თქვენს ბარგს.
- შეგეკითხებათ, თუ რამდენი წლის ხართ, თუ თან არ მოგიტანიათ თქვენი ვინაობის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი. თანამშრომელი სვამს შეკითხვებს თქვენსა და თქვენი ასაკის შესახებ და ყურადღებით გაკვირდებათ, თუ რამდენი წლის შეხედულება გაქვთ. ამას ეწოდება ასაკის შეფასება. IND ამას აკეთებს პირველი ინტერვიუს დროს, რომელიც ცნობილია, როგორც მისაღები ინტერვიუ. ამის შესახებ დეტალურად შეგიძლიათ იხილოთ მე-5 ნაბიჯში. თუ AVIM / KMar და IND თვლიან, რომ თქვენ არასრულწლოვანი ხართ, მაშინ ისინი აღიარებენ თქვენს მიერ მითითებულ ასაკს. თუ AVIM/KMar-სა და IND-ს მიიჩნევენ, რომ თქვენ აშკარად ზრდასრული ხართ, მაშინ ისინი სისტემაში შეცვლიან თქვენს ასაკს და თქვენ ზრდასრულად მიგიჩნევენ. თქვენი ასაკი შეიცვლება 21-ით.
- თუ თქვენი ასაკი ჯერ კიდევ დაუზუსტებელია, IND-ს შეუძლია დაიწყოს ასაკის გადამოწმების პროცედურა. ამის შესახებ დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ მე-7 გვერდზე.

#### **მე-4 ნაბიჯი: ინტერვიუ Nidos-სთან**

რეგისტრაციის შემდეგ, თქვენ გექნებათ ინტერვიუ Nidos-ის თანამშრომელთან. ეს ინტერვიუ, ასევე, შეიძლება მოგვიანებით გაიმართოს. თანამშრომელმა უფრო მეტი უნდა იცოდეს თქვენს შესახებ და:

- შეგეკითხებათ, თუ ვინ ხართ და რას საქმიანობთ
- შეგეკითხებათ, თუ რატომ გაიქცით და გყავთ თუ არა ოჯახი ჰოლანდიაში
- უფრო მეტს გაიამბობთ თავშესაფრის მამიებლობის პროცედურის შესახებ
- ინტერვიუს შემდეგ, მიმართავს სამეურვეო საბჭოს.

### **მე-5 ნაბიჯი: მისაღები ადგილისკენ**

რეგისტრაციისა და Nidos-სთან ინტერვიუს შემდეგ, თქვენ წახვალთ მისაღებ ცენტრში. COA გაჩვენებთ, თუ სად შეგიძლიათ ჭამოთ და დაიძინოთ. უახლოეს დღეებში, ისინი თან გამოგყვებიან შეხვედრებზე.

### **მე-6 ნაბიჯი: სამედიცინო შემოწმება**

რეგისტრაციის მომდევნო დღეს, თქვენ ჩაგიტარდებათ სამედიცინო შემოწმება. GZA შეამოწმებს გაქვს თუ არა ტუბერკულოზი(TB), გადამდები დაავადება, რომელიც ზოგადად, ფილტვებზე მოქმედებს. საჭიროების შემთხვევაში, GZA-ში ფილტვებს გაგიშუქებენ.

### **მე-7 ნაბიჯი: IND-სთან ინტერვიუ: განაცხადის გასაკეთებელი ინტერვიუ**

განაცხადის გასაკეთებელი ინტერვიუ მნიშვნელოვანი შეხვედრაა, რომელზეც IND გისვამთ კითხვებს. IND გამოიყენებს ინფორმაციას, რომელიც თქვენ უკვე მიწოდებული გაქვთ სააპლიკაციო ფორმით. ეს ინტერვიუ ჩვეულებრივ იმართება მე-3 დღეს. ზოგჯერ, შეიძლება Nidos-ის თანამშრომელიც ესწრებოდეს.

განაცხადის გაკეთების მთავარი მიზანია:

- ინფორმაციის მოპოვება თუ:
  - ვინ ხართ
  - საიდან მოდიხართ
  - როგორ ჩამოხვედით.
- ნახონ, თუ რომელი დოკუმენტები გაქვთ ჩაბარებული. თუ გაქვთ რაიმე დოკუმენტი, რომელიც ჯერ კიდევ არ გადაგიციათ, მაშინ თქვენ შეგიძლიათ მისცეთ IND-ის თანამშრომელს.
- განიხილავს, უნდა შეისწავლოს და მიიღოს გადაწყვეტილება თუ არა ევროპის სხვა ქვეყანამ თქვენი თავშესაფრის მაძიებლობაზე განაცხადის შესახებ. დამატებითი ინფორმაციისთვის, იხილეთ საინფორმაციო ფურცელი *ბავშვები ითხოვენ საერთაშორისო დაცვას*.
- განსაზღვრეთ, თუ როგორ გაგრძელდება თქვენი თავშესაფრის მაძიებლის პროცედურა.

IND-ის თანამშრომელი გკითხავთ:

- თქვენს საიდენტიფიკაციო მონაცემებს, ეროვნებას, წარმომავლობასა და საცხოვრებელ ადგილს
- ოჯახის შესახებ
- დოკუმენტების შესახებ
- განათლების შესახებ
- სამუშაოსა და სამხედრო სამსახურის შესახებ
- სხვა ქვეყნებში ცხოვრების შესახებ
- ნიდერლანდებში თქვენი მოგზაურობის შესახებ
- თქვენი ასაკის შესახებ. თანამშრომელი, ასევე, კარგად დაგაკვირდებათ, რამდენი წლის შეხედულება გაქვთ
- თავშესაფრის მაძიებლობის თქვენი მიზეზის შესახებ

ამ ინტერვიუს დროს, თქვენ მხოლოდ გესაჭიროებათ მოკლე პასუხის გაცემა, თუ რატომ შეგაქვთ განაცხადი თავშესაფრის მაძიებლობაზე. IND იყენებს ამ ინფორმაციას სათანადო

პროცედურის დასაგეგმად. მეორე ინტერვიუში, რომელიც ცნობილია როგორც დეტალური ინტერვიუ, თქვენ შესაძლებლობა გექნებათ დეტალურად განმარტოთ თქვენი თავშესაფრის მამიებლობის განაცხადის მიზეზები.

IND შეადგენს ინტერვიუს ოქმს. ოქმის ასლი მოგვიანებით გადმოგეცემათ.

სარეგისტრაციო გასაუბრების შემდეგ, IND-იმ შეიძლება ჩაწეროს თქვენი ხმა იმის დასადგენად, თუ რომელი ტერიტორიიდან ჩამოხვედით. თქვენ მოგეთხოვებათ მოკლედ ისაუბროთ იმ ენაზე ან ენებზე, რომლებზეც საუბრობთ.

#### **თარჯიმანი**

თქვენ გექნებათ ბევრი გასაუბრება სხვადასხვა ორგანიზაციასთან. უმეტესობა გასაუბრების დროს, თქვენთვის ხელმისაწვდომი იქნება თარჯიმნის დახმარება. თარჯიმანი ჰოლანდიურ ფრაზებსა და სიტყვებს თარგმნის თქვენთვის გასაგებ ენაზე და თქვენს ნათქვამს თარგმნის ჰოლანდიურად. თარჯიმანი გავლენას არ ახდენს თქვენი თავშესაფრის მამიებლობის შესახებ გადაწყვეტილებაზე. ზოგიერთ შემთხვევაში, თარჯიმანი შეიძლება პირადად დაესწროს შეხვედრას, მაგრამ ჩვეულებრივ, ეს ხდება ტელეფონით. თარჯიმანი ყოველთვის დაესწრება, თავშესაფრის მამიებლობაზე თქვენს მიზეზებთან დაკავშირებით, IND-თან ჩატარებულ გასაუბრებას. თუ თქვენ და თარჯიმანს გექნებათ პრობლემა ერთმანეთის გაგებისას, მნიშვნელოვანია, რომ მაშინვე განაცხადოთ. ამ შემთხვევაში, IND ეცდება სხვა თარჯიმანი მოგამაგროთ. მნიშვნელოვანია, რომ არ მოხდეს გაუგებრობები, რომელიც გამოწვეულია შეკითხვების არასწორად გაგებით.

## **ასაკის შეფასება**

თუ ყოველივე ქვემოთ ჩამოთვლილი თქვენ გეხებათ, მაშინ თქვენი ასაკის დასადასტურებლად, IND-ის შეუძლია მოითხოვოს სპეციალური შემოწმების ჩატარება.

- თქვენ თან არ გაქვთ თქვენი ასაკის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი; და
- თქვენ არ ხართ რეგისტრირებული თავშესაფრის მამიებლად, ევროკავშირის სხვა ქვეყანაში. თქვენი თითის ანაბეჭდებით, პოლიცია, ამოწმებს სისტემაში; და
- ასაკის შეფასების შემდეგ, პოლიციასა და IND-ის ეჭვი ეპარებათ თქვენს ასაკში.

#### **შემოწმება**

შემოწმება ტარდება სპეციალურ ცენტრში. ექსპერტი გადაიღებს თქვენი მხარისა და მაჯის რენტგენს. რენტგენის სხივები მიიღება სპეციალური მოწყობილობით, რომელსაც თქვენი კანის გავლით, შეუძლია ძვლების დათვალიერება. ეს არ დაგაზიანებთ და გენებათ ფოტოს გადაღების მსგავსი შეგრძნება. არც საზიანო არ არის თქვენი ჯანმრთელობისთვის. ლავიწის ძვალი და ხელის/მაჯის სახსარი ბავშვებში განსხვავებულად გამოიყურება, ვიდრე მოზრდილებში. ექსპერტს შეუძლია დაადგინოს თქვენი ასაკი მხრისა და მაჯის რენტგენოგრაფიით.



### შემოწმების შემდეგ

თუ ასაკის შემოწმებით დადგინდა, რომ თქვენ არ გაქვთ მითითებული დაბადების სწორი თარიღი, მაშინ IND-ის შეუძლია დაეჭვდეს იმის თაობაზე, სიმართლეა თუ არა სხვა რამ, რაც მათ უთხარით, მაგალითად, თუ რატომ დატოვეთ თქვენი ქვეყანა. თუ ასაკობრივი კვლევით დადგინდა, რომ თქვენ 18 წელზე მეტის ხარ, მაშინ IND-ის შეუძლია დაამუშავოს თქვენი თავშესაფრის მაძიებლობის შესახებ განაცხადი, როგორც თავშესაფრის ზრდასრული მაძიებლის განცხადება. თქვენი ასაკი შეიცვლება 21-ით.

თუ თქვენ უარს იტყვით ასაკის შემოწმებაზე, მაშინ IND-მ შეიძლება ეს მიიღოს იმის ნიშნად, რომ თქვენ არ ხართ გულწრფელი თქვენი დაბადების თარიღთან დაკავშირებით. IND შეცვლის თქვენს ასაკს 21-ით და თქვენ ჩაგთვლით ზრდასრულად. ამან შეიძლება ისინი დააეჭვოს, თუ რამდენად შეესაბამება მათთვის მონათხრობი სიმართლეს მაგალითად, რატომ დატოვეთ თქვენი ქვეყანა.

## რა მოხდება განაცხადის გაკეთების ეტაპის შემდეგ?

განაცხადის გაკეთების ეტაპის შემდეგ:

- თქვენ გადამისამართდებით სხვა მიმღებ ცენტრში. თუ თქვენ ხართ 15-დან 18 წლამდე ასაკის, მაშინ განაცხადის შევსებისა და რეგისტრაციის შემდეგ, თქვენ წახვალთ სპეციალურ მისაღებში. საცხოვრებელს უზრუნველყოფს თავშესაფრის მაძიებელთა მიღების ცენტრალური სააგენტო (COA), რომელიც სათანადოდ არის აღჭურვილი ახალგაზრდა ასაკის თავშესაფრის მაძიებელთათვის. თუ თქვენ 13 წლამდე ასაკის ხართ, მაშინ Nidos იზრუნებს თქვენს მოვლაზე. ამ შემთხვევაში, თქვენ დროებით იცხოვრებთ მიმღებ ოჯახში.
- IND განსაზღვრავს, თუ როგორ წარიმართება თქვენი თავშესაფრის მაძიებლობის პროცედურა
- IND განსაზღვრავს, თუ რამდენად საჭიროა გამოძიება თავშესაფრის მაძიებლობაზე განაცხადის თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად. IND-მ შეიძლება შეისწავლოს თქვენი დოკუმენტები, მაგალითად
- თქვენ გადახვალთ დასვენებისა და მოსამზადებელ პერიოდში (RVT). დამატებითი ინფორმაცია RVT-ს შესახებ მოცემულია ქვემოთ.

## რა ხდება RVT-ს დროს?

RVT სულ მცირე სამი კვირა გაგრძელდება. დატვირთულ პერიოდში, შეიძლება მეტი დრო დასჭირდეს. ეს პერიოდი საშუალებას გაძლევთ დაისვენოთ თქვენი ნიდერლანდებში მოგზაურობისგან, სანამ ელოდებით IND-სთან ყველაზე მნიშვნელოვან, დეტალურ გასაუბრებას. დეტალურ გასაუბრებაზე განმარტეთ თქვენი თავშესაფრის მამიებლობის თაობაზე განაცხადის შეტანის მიზეზები. დამატებითი ინფორმაციისათვის, იხილეთ საინფორმაციო ფურცელი: "თავშესაფრის მამიებლობაზე განაცხადის შეტანა: ინფორმაცია თავშესაფრის მამიებლობაზე ზოგადი პროცედურის შესახებ", რომელსაც თქვენ მოგვიანებით მიიღებთ. RVT-ის შესახებ ქვემოთ შეგიძლიათ წაიკითხოთ. ნაბიჯები შეიძლება განსხვავებული თანმიმდევრობით იყოს.

|             |                              |
|-------------|------------------------------|
| 1-ლი ნაბიჯი | ინფორმაცია                   |
| მე-2 ნაბიჯი | ადვოკატი                     |
| მე-3 ნაბიჯი | გასაუბრება მედდასთან         |
| მე-4 ნაბიჯი | გასაუბრება მედდასთან         |
| მე-5 ნაბიჯი | დოკუმენტების გაგზავნა IND-ში |

### 1-ლი ნაბიჯი: ინფორმაცია

VWN გაწვდით ინფორმაციას თავშესაფრის მამიებლობის პროცედურისა და ორგანიზაციების შესახებ, რომლებსაც შეხვდებით პროცედურის გავლის დროს.

### მე-2 ნაბიჯი: ადვოკატი

თქვენ დაგინიშნავენ ადვოკატს, რომელიც დაგეხმარებათ თავშესაფრის მამიებლობის პროცედურისთვის მომზადებაში. თქვენმა ადვოკატმა იცის თავშესაფრის მამიებლობის შესახებ კანონები და რეგულაციები და დეტალური ინტერვიუს მნიშვნელობა. თქვენ არ უნდა გადაუხადოთ ადვოკატს. ასევე, შეგიძლიათ ადვოკატს სთხოვოთ, რომ დაგეხმაროთ განაცხადის შევსების ეტაპზე. თუმცა, ამის მოგვარება და გადახდა თავად მოგიწევთ.

### მე-3 ნაბიჯი: გასაუბრება მედდასთან

მიმღებ ცენტრში, თქვენ შეხვედრას დაგინიშნებთ MediFirst-ის მედდასთან. მედდა შეგეკითხებათ გაქვთ თუ არა ნაწიბურები ან ფსიქიკური ან ფიზიკური პრობლემები. მედდამ უნდა იცოდეს, თუ რამდენად მოახდენს ეს პრობლემები გავლენას IND-თან თქვენს გასაუბრებაზე. ეს საშუალებას აძლევს IND-ს, რაც შეიძლება მაქსიმალურად გაითვალისწინოს ნებისმიერი პრობლემა.

### მე-4 ნაბიჯი: დოკუმენტების გაგზავნა IND-ში

თუ გაქვთ რაიმე მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელიც თქვენს თავშესაფრის მამიებლობის ისტორიას ამტკიცებს, გთხოვთ, რაც შეიძლება მალე გაგზავნოთ ნიდერლანდებში. შეიძლება IND-ს მაინც დასჭირდეს დოკუმენტების შემოწმება, რათა დარწმუნდეს, რომ ისინი ნამდვილია.

### მე-5 ნაბიჯი: დეტალურ გასაუბრებაზე მოწვევა

თქვენ მიიღებთ წერილს IND-სგან, რომლითაც ის გიწვევთ დეტალურ გასაუბრებაზე. საინფორმაციო ფურცელი "განაცხადი თავშესაფრის მამიებლობაზე: ინფორმაცია თავშესაფრის მამიებლობაზე ზოგადი პროცედურის შესახებ" განმარტავს დანარჩენ პროცედურას.

## პერსონალური მონაცემების დამუშავება

პერსონალური მონაცემები წარმოადგენს თქვენს შესახებ ნებისმიერი სახის ინფორმაციას. იმ ორგანიზაციების სია, რომლებმაც ითანამშრომლეს ამ ბუკლეტის შემუშავებაში, მოყვანილია ქვემოთ. ისინი დაამუშავებენ თქვენს პერსონალურ მონაცემებს თქვენი განაცხადის, შეტყობინების ან მოთხოვნის განხილვისას. ისინი თქვენგან და საჭიროებისამებრ, სხვა ორგანიზაციებისგან თუ პირებისგან თქვენს მონაცემებს გამოითხოვენ. ეს ორგანიზაციები იყენებენ და ინახავენ თქვენს მონაცემებს, ასევე, საჭიროებისამებრ, უმხელენ მათ სხვა ორგანიზაციებს კანონის თანახმად. კონფიდენციალურობის დაცვის შესახებ კანონმდებლობა განსაზღვრავს თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავებელი ორგანიზაციების ვალდებულებებს. მაგალითად, ისინი ვალდებული არიან გაუფრთხილდნენ თქვენს მონაცემებს და უზრუნველყონ მათი უსაფრთხოება. კონფიდენციალურობის დაცვის შესახებ კანონმდებლობა ასევე ადგენს თქვენს უფლებებს, როგორებიცაა:

- ორგანიზაციების მიერ შენახულ თქვენს მონაცემებთან წვდომის უფლება;
- უფლება იცოდეთ, თუ რაში იყენებენ ორგანიზაციები თქვენს მონაცემებს და რატომ;
- უფლება იცოდეთ, თუ რომელ ორგანიზაციებს გაუმხილეს თქვენი მონაცემები.

თქვენი უფლებების და თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავების წესის შესახებ მეტი ინფორმაციისთვის ეწვიეთ შესაბამისი ორგანიზაციის ვებსაიტს.

წინამდებარე საინფორმაციო ფურცელი არის შემდეგი დაწესებულებების ერთობლივი გამოცემა:

Afdeling Vreemdelingenpolitie, Identificatie en Mensenhandel (AVIM)  
Centraal Orgaan opvang asielzoekers (COA)  
Immigratie- en Naturalisatiedienst (IND)  
Koninklijke Marechaussee (KMar)  
Raad voor Rechtsbijstand (RvR)  
VluchtelingenWerk Nederland (VWN)  
Internationale Organisatie voor Migratie (IOM)  
Dienst Terugkeer en Vertrek (DT&V)

შეკვეთილია შემდეგი სტრუქტურების მიერ:  
Ministerie van Justitie en Veiligheid,  
directie Migratiebeleid  
[www.rijksoverheid.nl](http://www.rijksoverheid.nl)

ამ გამოცემის შინაარსიდან არანაირი უფლებები არ წარმოიშვება.

თუ თარგმანის ინტერპრეტაციისას შეიქმნება სხვაობა, მაშინ ჰოლანდიურ ვერსიას მიენიჭება უპირატესობა.